ქალთა გაძლიერება წარმატებული ბიზნესისთვის

ქალთა
გაძლიერება
წარმატებული
ბიზნესისთვის

2025

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის, ან ნორვეგიის სააგენტოს განვითარების თანამშრომლობისთვის ოფიციალურ პოზიციას.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია არ უწევს რეკლამირებას პუბლიკაციაში წარმოდგენილ ბრენდებს, პროდუქტებსა თუ მომსახურებებს.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კომპონენტის ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის სააგენტო განვითარების თანამშრომლობისთვის აფინანსებს.

ტექსტის ავტორი: ნინო ნატროშვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
ფოტოგრაფები: ლელი ბლაგონრავოვა, თაკო რობაქიძე
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
თარჯიმანი: ლელა დუმბაძე
ინგლისური ენის რედაქტორი: მიშელ მინასკანიანი

©გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2025 წელი
ყველა უფლება დაცულია

Norway

UN WOMEN | WOMEN'S EMPOWERMENT PRINCIPLES

სარჩევი

08
ქალები ტექნოლოგიებში ცვლიან მსოფლიოს

12
„საოცარი გრეისი“ – შთაგონება, რომელიც დროს უძლებს

16
ინოვატორი სოფლის მეურნეობაში

20
ქალები საზღვაო ინდუსტრიისთვის

26
პაატარა აეტოსკოლიდან საგზაო აკადემიამდე

30
თქვენ ეხმარებით ქალებს, რომლებიც საფრთხეს გაუძცნენ

34
ქალის ჯანმრთელობა ყველასთვისაა მნიშვნელოვანი

38
როგორ გაცივრულდა გურული „თაფლოვანა“

42
გოგოების გოლი

ქალთა გაძლიერება წარმატებული ბიზნესისთვის

გაეროს ქალთა ორგანიზაცია კერძო სექტორთან 2016 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს და ამ პარტნიორობის დიდი ნაწილი საერთაშორისო პლატფორმას – გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს (Women's Empowerment Principles – WEPs) ეფუძნება. საქართველოში ამ პრინციპებს ხელს ამჟამად 288 კომპანია აწერს, რაც, ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალი რიცხვია. პლატფორმა ახალი წევრებისთვისაც ღიაა.

კომპანიები, რომლებიც გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს ნერგავენ, ამ ინსტრუმენტის შესაბამისად, არაერთ ინიციატივას ახორციელებენ. მენტორობით, პროფესიული გადამზადებით, გრანტებით, სოფლად მცხოვრები ქალების დახმარებით, მეწარმეობის ხელშეწყობითა თუ სხვა პროექტებით, მათ უკეთესობისკენ უკვე 71,363 ქალის ცხოვრება შეცვალეს.

ამ ცვლილებებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ინიციატივები, რომლებსაც კერძო სექტორი ქალების გაძლიერებისთვის საკუთარი ორგანიზაციების მიღმა ახორციელებს – ისტორიები, რომლებიც ნათლად აჩვენებს, როგორ ცდილობს ბიზნესი, რომ ქალებს ფინანსებსა და ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ტექნოლოგიებსა და სხვა მაღალანაზღაურებად ინდუსტრიებში ჩართულობის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, როგორ ეხმარება ის გენდერული სტერეოტიპების მსხვრევასა და დასახული მიზნების რეალობად ქცევას.

ეს პუბლიკაცია პოზიტიური ცვლილებების მხოლოდ მცირე ნაწილს აერთიანებს, თუმცა შედეგები გაცილებით დიდია. გვჯერა, გამოცემაში მოყოლილი ამბები ბიზნესის წვლილზე არა მარტო მკაფიო წარმოდგენას შეგიქმნით, არამედ იქნება მოტივაცია, გზამკვლევი ან ინსპირაცია იმ სხვა კომპანიებისთვისაც, რომლებსაც ქალების გაძლიერებისთვის ახალი ნაბიჯების გადადგმა სურთ.

და ბოლოს, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ კერძო სექტორს პარტნიორობისა და ინიციატივებისთვის. თანამედროვე რეალობაში ქალებისთვის არაერთი სირთულე და გამოწვევა არსებობს, ამიტომ მიღწეული შედეგების განვითარებასა და ძალისხმევის გაგრძელებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება. წინსვლა ახალი თანამოაზრეების მოძიებისა და ერთიანობის შენარჩუნების გარეშე წარმოუდგენელია. რაც მთავარია, აუცილებელია ქალების გაძლიერებისთვის უწყვეტი მუშაობის გაგრძელება, რადგან მათი მხარდაჭერა კეთილდღეობისა და პროგრესის მხარდაჭერას ნიშნავს. ამ პროცესში კი გვეიმედება ყველა კომპანია, რომელსაც ჩვენსავით სჯერა, რომ ბიზნესი და ქალთა გაძლიერება განუყოფელია.

ქალები ტექნოლოგიებში ცვლიან მსოფლიოს

„ძალიან ბევრ სფეროში მოვსინჯე თავი: ხან ღვინისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიებში, ხან – იურისპრუდენციაში, ხან – ბანკში, მაგრამ ჩემი ადგილი ვერსად ვნახე. სულ მქონდა განცდა, რომ უნდა გამეგრძელებინა და აუცილებლად მეპოვა საქმე, რომელიც სიამოვნებას მომანიჭებდა. მართლაც, საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია ციფრულ ტექნოლოგიებში აღმოვაჩინე“, – იხსენებს 29 წლის სალომე გიგნიაშვილი.

სალომესთვის ციფრულ ინდუსტრიაში პირველი ნაბიჯების გადადგმა ცნობისმოყვარეობით დაიწყო. 2021 წელს, როცა ირგვლივ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები იყო დაწესებული, ჯერ კიდევ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, გადაწყვიტა, მოეძებნა პროფესია, რომელიც დისტანციურად, მარტივად მუშაობის შესაძლებლობას მისცემდა. პირველად სწორედ მაშინ გაიგო ციფრული დიზაინის შესახებ, შესაბამისი ინფორმაცია მოიძია, მერე პოდკასტებსაც მოუსმინა და ამ საქმით კიდევ უფრო დაინტერესდა.

„UI/UX დიზაინში კომპლექსურობა მომეწონა. ეს პროფესია მომხმარებლების საჭიროებებისა და ემოციების კვლევას, მათ ტექნიკურ გადმოცემას მოიაზრებს, დიზაინერს კი ბევრ უნარს გივითარებს. ისე მოხდა, რომ ზუსტად ამ დროს გამოჩნდა პროექტი „500 ქალი ტექში”. გადავწყვიტე, მეცადა და, საბედნიეროდ, მონაწილეთა შორის აღმოვჩნდი”, – ამბობს სალომე.

პროექტის „500 ქალი ტექში“ განხორციელება გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და პარტნიორ ტექ კომპანიებთან თანამშრომლობით, 2021 წლიდან დაიწყო. ინიციატივა მთელი ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოპულარულ პროფესიებში 500 ქალის უფასო გადამზადებას გულისხმობდა, თუმცა პროექტმა იმდენად უპრეცედენტო დაინტერესება გამოიწვია, რომ მონაწილეთა რიცხვი საბოლოოდ 1000-მდე გაიზარდა. მათ შორის იყვნენ ის უკრაინელი ქალები და გოგოებიც, რომლებსაც სამშობლოს დატოვება ომის გამო მოუხდათ.

„500 ქალი ტექში“ 6-თვიან კურსს მოიცავდა. იგი სხვადასხვა პროფესიის დაუფლებასთან ერთად, ინგლისური ენის ინტენსიურ სწავლებას, პრაქტიკულ დავალებებს, კარიერულ ბუთქემფს, მეწარმეობის შესახებ სემინარებს, ინდივიდუალურ მენტორინგსა და სტაჟირებას აერთიანებდა. პროექტი, რომელიც 2024 წლის მაისში დასრულდა, მონაწილეებს დასაქმების

სალომე გიგნიაშვილი, UI/UX დიზაინერი და პროექტის „500 ქალი ტექში” პირველი ნაკადის ერთ-ერთი მონაწილე

სალომე გიგნიაშვილი – UI/UX დიზაინერი, რომელმაც ციფრული დიზაინი პროექტის „500 ქალი ტექში" დახმარებით ისწავლა და დღეს ამ პროფესიას წარმატებით იყენებს

ფორუმებსა და ინდუსტრიაში მუშაობის შესაძლებლობასაც სთავაზობდა.

სალომე პროექტის პირველი ნაკადის მონაწილე იყო და ახალ პროფესიას უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ეუფლებოდა. ტექნიკურ დეტალებთან პირველად უწევდა შეხება, არც ტერმინები იყო მისთვის მარტივი, თუმცა ბევრს მუშაობდა და შედეგს ყოველთვის აღწევდა.

„ჩემთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო უფროს დიზაინერებთან შეხვედრები, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ მერე რა, თუ დამწყები ხარ, თუ შენი პორტფოლიო მოგვეწონება, სამსახურში აუცილებლად აგიყვანთ. ეს დიდ მოტივაციას მაძლევდა. საფინალო პროექტად საათების კომპანიის ვებსაიტი ავაწყვე, რომელიც ჩემს პორტფოლიოდაც იქცა და, საბოლოოდ, მისი დახმარებით, სწავლის დასრულებიდან თვე-ნახევარში უკვე უმცროს UI/UX დიზაინერად დავსაქმდი", – ჰყვება ის.

ახალი პროფესია სალომეს ძალიან მოსწონს. განსაკუთრებით ისეთ ვიზუალებსა და აპლიკაციებზე მუშაობა იზიდავს, რომლებიც ადამიანებს ცხოვრებას უმარტივებს, ინტუიციურია, ადვილად გამოსაყენებელი და პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული.

„ტექნოლოგიები საშუალებას გაძლევს, სადღაც ბუხრის გვერდით იჯდე და განათლებას იღებდე, რომელიმე ორგანიზაციის წამყვანი თანამშრომელი იყო, საკუთარი თავი იპოვო, ერთი ეკრანიდან შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოწურო, ამიტომ ეს შესაძლებლობები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მჯერა, რომ ასეთი მიდგომით, გოგოების გაძლიერებითა და რეალიზებით, საზოგადოება კიდევ უფრო სწრაფად განვითარდება, რადგან ქალები ტექნოლოგიებში ცვლიან მსოფლიოს", – აღნიშნავს სალომე.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემებით, საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში დასაქმებული ქალების წილი 12%-ს შეადგენს, შესაბამისი ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა შორის კი გოგო მხოლოდ 14,5%-ია. სალომე ფიქრობს, რომ არსებული სტერეოტიპული მიდგომების შეცვლისა და ტექნოლოგიებში გოგოების მონაწილეობის გაზრდისთვის, მათი გაძლიერებისთვის, ისეთ პროექტებს, როგორიც „500 ქალი ტექშია", დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი
ნინო ენუქიძე:

ტექნოლოგიები ქალების მხარდაჭერის ყველაზე მძლავრი იარაღია. მას ნამდვილად შეუძლია გენდერული უთანასწორობის შემცირებაში სწრაფი და გარდამტეხი ცვლილებების შეტანა, იმ უსამართლობის დამარცხება, რასაც გოგოები არა მარტო ტექნოლოგიებში, არამედ ზოგადად, საკუთარი სქესის გამო აწყდებიან. შესაბამისად, ამ ინდუსტრიის შესაძლებლობების გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

„6 თვეში ყველაფერი დაბზრიალდა, ვიპოვე საყვარელი საქმე, რომელიც ამოუწურავი, ინოვაციებით სავსე და პროგრესულია. ვგრძნობ, რომ ამ პროფესიამ გამაძლიერა. რაც მთავარია, აღმოვაჩინე პროექტის სხვა მონაწილეები, რომლებსაც, ასაკის მიუხედავად, ახალი პროფესიის შესწავლა სურდათ. ამ გოგოების დანახვა სულ აღმაფრთოვანებდა. ურთიერთობას დღემდე ვინარჩუნებთ, ერთმანეთსაც ვაძლიერებთ, ვეხმარებით, რჩევებსა და გამოცდილებას ვუზიარებთ. ამაზე ძვირფასი რა უნდა იყოს? რომ არა ეს პროექტი, შეიძლება, ვერც ჩემი შესაძლებლობები აღმომეჩინა და ვერც – ეს ადამიანები", – ამბობს სალომე.

სალომე ძირითადი სამსახურის პარალელურად, ფრილანსერიცაა და ამჟამად ერთ-ერთ ქართულ სტარტაპზე მუშაობს. წინ კი მასშტაბური გეგმები აქვს: სურს, ახალი სფეროები გამოცადოს, კიდევ უფრო დიდ გუნდებთან იმუშაოს და გზა უფროს UI/UX დიზაინერამდე მაქსიმალურად საინტერესოდ და მრავალფეროვნად გაიაროს. ■

→ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ტექნოლოგიებში გოგოების მონაწილეობის აქტიური მხარდამჭერია. გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებზე ხელმოწერის შემდეგ უნივერსიტეტმა წამოიწყო ინიციატივა „კოდინგის სკოლა ქალებისთვის", რომლის დახმარებითაც ტექნოლოგიურ პროფესიებში 2500-ზე მეტი გოგო მომზადდა, მათი 75% კი ამ ინდუსტრიაში დასაქმდა. პროექტის „500 ქალი ტექში" წარმატებით დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში, USAID-ის მხარდაჭერით, „კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის" შეიქმნა. ამას გარდა, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ნორვეგიის მთავრობის ხელშეწყობით, ამჟამად მიმდინარეობს ინიციატივა „ქალები ხელოვნურ ინტელექტში" – Women in AI, რომელიც ტექნოლოგიებში ქალების მონაწილეობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. მის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 200 ქალი 9 თვის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტისა და ვებდეველოპმენტის მიმართულებებით გადამზადდება. აღსანიშნავია, რომ პარალელურად, BTU-მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და იაპონიის მთავრობის დაფინანსებით, ხორციელდება პროექტი „უკრაინელი ლტოლვილი ქალების გაძლიერება ტექში", რომელიც უკრაინელი ლტოლვილი ქალებისთვის სხვადასხვა მიმართულებით ტექნოლოგიური განათლების გაზიარებასა და პრაქტიკული ჩვევების გაძლიერებას ემსახურება.

„საოცარი გრეისი“ – შთაგონება, რომელიც დროს უძლებს

1944 წელს, როცა საზღვაო-სამხედრო რეზერვის ოფიცერმა, გრეის ჰოპერმა ელექტრომაგნიტურ კომპიუტერზე, Mark IV-ზე მუშაობა დაიწყო, ქალი ტექნოლოგიებში მოულოდნელობა არავისთვის ყოფილა. მაშინ გამომთვლელ ტექნიკასთან უმეტესად სწორედაც ქალები მუშაობდნენ, სამეცნიერო პროექტებისთვის მონაცემებს აგროვებდნენ და თანამედროვე კომპიუტერის ფუნქციებს ასრულებდნენ. თუმცა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შრომისთვის, კაცებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებდნენ. შემდეგ დამოკიდებულებები შეიცვალა: ტექნოლოგიების პერსპექტიული და მაღალშემოსავლიანი ინდუსტრია სრულიად კაცებით დომინირებული გახდა.

აი, ამ რეალობაში შეძლო გრეის ჰოპერმა – ამერიკელმა მათემატიკოსმა, მეცნიერმა და პროგრამისტმა, შეექმნა შთამბეჭდავი, სამაგალითო კარიერა და გამხდარიყო პირველი ქალი, რომელმაც 1991 წელს აშშ-ის უმაღლესი ტექნოლოგიური ჯილდო მიიღო. ეს აღიარება მას კომპიუტერული პროგრამირების ენების განვითარებაში შეტანილი ინოვაციური წვლილისა და იმ გამოგონებებისთვის ერგო, რომლებმაც ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად გაამარტივა და მთელ მსოფლიოში ფართოდ ხელმისაწვდომი გახადა. თუმცა, გრეის ჰოპერის ყველაზე მთავარი მიღწევა კიდევ უფრო მასშტაბური და შთამბეჭდავია: ის საკუთარი მიზანდასახულობითა და მისაბაძი პროფესიული გზით არაერთი ქალისთვის იქცა მაგალითად. „საოცარი გრეისი“, როგორც მას უწოდებდნენ, დღესაც ბევრი გოგოსთვის მოტივაციისა და შთაგონების წყაროა.

სწორედ გრეის ჰოპერის სახელს ატარებს ჯილდო, რომლის გადაცემის ცერემონიალიც საქართველოში უკვე მეოთხედ ჩატარდა. ინიციატივა USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამამ, თიბისისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით, 2021 წლიდან წამოიწყო. სამწუხაროდ, გრეის ჰოპერის მოღვაწეობიდან თითქმის საუკუნის გასვლის მიუხედავად, საქართველოსა თუ მსოფლიოში ქალები STEM-ში კვლავაც ნაკლებად არიან წარმოდგენილები. სტერეოტიპი, რომ ეს სფერო კაცებს უფრო შეეფერება, ბევრ ქალსა და გოგოს პერსპექტიული, ინოვაციური და მაღალანაზღაურებადი სფეროს მიღმა ტოვებს. ქალების არარეალიზებული შესაძლებლობები და განსხვავებული ხედვები დიდი დანაკლისია თავად ინდუსტრიისთვისაც, რომელიც არაერთ ნიჭიერ კადრსა და ინოვაციურ იდეას კარგავს.

გრეის ჰოპერის ჯილდო 2024 წლის ცერემონიალიდან

ფოტო: თიბისი/რეზი ყენია

გრეის ჰოპერის ჯილდოს ერთი მთავარი მიზანი აქვს: წარმოაჩინოს და აღიაროს იმ ადამიანების, სტარტაპებისა და ორგანიზაციების წვლილი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიური სფეროს გამრავალფეროვნებაში და თავიანთი საქმიანობით ნათლად აჩვენებენ, რომ ინდუსტრიაში, რომელიც ყველაზე წარმოუდგენელ იდეებსაც რეალობად აქცევს, სტერეოტიპების ადგილი არ არის. რა თქმა უნდა, ის აძლიერებს გოგოებს და აძლევს მათ მოტივაციას, ამ სფეროში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება კიდევ უფრო მეტი შემართებით გააგრძელონ.

ამჟამად თიბისი პროექტის მთავარი ორგანიზატორია. 2024 წელს აპლიკანტების რეკორდული რაოდენობა კი ჯილდოს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ადასტურებს. შარშან ივლისში გამარჯვებულები ხუთი მიმართულებით დასახელდნენ: ტექ ლიდერი, აღმოჩენა ახალ თაობაში, გამორჩეული მეცნიერი, ინოვაციური ტექ პროდუქტი და ლიდერი კომპანია ქალების გაძლიერებისთვის.

გრეის ჰოპერი თიბისის ბრენდისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებს აერთიანებს. ის ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კომპანიაა და ციფრული შესაძლებლობების მაქსიმალურ გაფართოებას ემსახურება. ამავდროულად, თიბისისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ESG მიმართულებაც, რაც ქალთა გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის მიღწევასაც მოიაზრებს. ბანკის ბაზაზე მოქმედებს IT აკადემია, რომლის 4000-მდე კურსდამთავრებულის თითქმის ნახევარი ქალია. თიბისიში ქალები ტექ მიმართულებით დაქმებულების 30%-ზე მეტს შეადგენენ და, საბოლოოდ, ეს სტატისტიკა და ბრენდის განვითარების გზა კარგად ახსნის, თუ რატომ უჭერს მხარს თიბისი გრეის ჰოპერის ტექ დაჯილდოებასა და სხვა პროექტებს, რომლებიც ტექნოლოგიებში ქალების გაძლიერებას ემსახურება.

> თიბისის სტრატეგიული კომუნიკაციების ლიდერი **თამთა კუპრაძე:**
>
> **არცერთ კომპანიასა და ზოგადად ქვეყანას მომავალი არ აქვს, თუ მოსახლეობის ნახევარი სრულად არ მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექ ინდუსტრიაში ქალების ჩართულობის ხელშეწყობა. გამბედავ ქალებს ტექნოლოგიების ინდუსტრიაში გამხნევება, აღიარება და წახალისება სჭირდებათ. სწორედ ამისთვისაა გრეის ჰოპერის ჯილდო და იმედი მაქვს, დროსთან ერთად, ტექნოლოგიებით უფრო მეტი ქალი დაინტერესდება.**

> თიბისის გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების კოორდინატორი **მაკა ბოჭორიშვილი:**
>
> **გრეის ჰოპერის ჯილდოს არსებობა სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების ადამიანებს, კომპანიებსა და პროექტებსაც აძლევს მოტივაციას. ქალებს აჩვენებს, რომ თქვენი ადგილი ტექნოლოგიებში ნამდვილად არის, გაქვთ შესაძლებლობები და გარკვეულწილად გარემოც. ამავდროულად, ჯილდოს ირგვლივ ყალიბდება პროფესიული თემი, რომლის წევრები ერთმანეთსაც აძლიერებენ და ინდუსტრიასაც. თიბისი შეეცადა, რომ შეექმნა სასტარტო, მდგრადი პროექტი, რომელიც ბევრი მიმართულებით განვითარდება და საზოგადოების დიდ ნაწილზე მოახდენს ზეგავლენას.**

გრეის ჰოპერის ჯილდო დაარსებიდან 23-მა ადამიანმა და ორგანიზაციამ მიიღო. ამ გამარჯვებების მიღმა იდგა წარმატების ისტორიები, რომლებიც კიდევ უფრო ფართოდ გახდა ცნობილი. საზოგადოებამ კი დაინახა ქალების შესაძლებლობები, ტექნოლოგიების განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილი, რომლის აღიარებაც მანამდე არ ხდებოდა.

როცა 1983 წელს გრეის ჰოპერს სატელევიზიო ინტერვიუში კომპიუტერული რევოლუციის დასასრულზე ჰკითხეს, მან უპასუხა: ჩვენ მხოლოდ დასაწყისში ვართ. ქალებიც ტექნოლოგიებში მხოლოდ იწყებენ, გრეის ჰოპერის სახელობის ჯილდო კი კიდევ არაერთი მათგანისთვის იქცევა საუკეთესო შთაგონებად. ■

→ „თიბისი, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის მემორანდუმის ფარგლებში, კომპანიის მიღმა ქალების გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციისთვის არაერთ ინიციატივას ახორციელებს. ის იყო პროექტის „500 ქალი ტექში“ პარტნიორი, რომლის დახმარებითაც ქალებმა და გოგოებმა ტექნოლოგიური პროფესიები შეისწავლეს. თიბისიმ მონაწილეები IT აკადემიაში გადაამზადა და ლექციებითა თუ ინდივიდუალური მენტორინგით, დაეხმარა მათ იმ ცოდნის მიღებაში, რომელიც მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დასაქმებისთვისა და კარიერული წინსვლისთვისაა საჭირო. ამას გარდა, თიბისი აქტიურად უჭერს მხარს მეწარმე ქალებს, რისი მაგალითიცაა ბიზნესდაჯილდოების ყოველწლიური მასშტაბური ღონისძიება. 2022 წელს ბიზნესდაჯილდოებაზე გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და თიბისიმ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის სპეციალური ჯილდოც დააწესეს. პარალელურად, ბოლო ორი წელია, თიბისი საქართველოში მხარს უჭერს სტენფორდის უნივერსიტეტის ინიციატივით შექმნილ საერთაშორისო საზოგადოებას Women in Data Science და მართავს ღონისძიებებს, რომლებიც მონაცემთა მეცნიერებებში ქალების მონაწილეობასა და როლს ეძღვნება.

კომპანია „ფრუტ ლოჯისტიკის“ დამფუძნებელი და დირექტორი ნინო კაპანაძე საკუთარ საწარმოში

ინოვატორი სოფლის მეურნეობაში

2005 წელს ხელოვნებათმცოდნე ნინო კაპანაძე აშშ-იდან საქართველოში ეკონომისტის პროფესიით დაბრუნდა. განათლებით, რომელიც ფლორიდის ცენტრალურ უნივერსიტეტში მიიღო, სხვადასხვა სფეროში საქმიანობდა, თუმცა გული განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისკენ მიუწევდა.

„იმ პერიოდში საბაჟოზე ხშირად ვიყავი და ვხედავდი, რამდენად ბევრი ბოსტნეული შემოდიოდა სხვა სახელმწიფოებიდან, მერე კი ამ პროდუქციას დახლებზე ქართული ეწერა. მიკვირდა, რადგან ბავშვობიდან მესმოდა, რომ საქართველო აგრარული ქვეყანა იყო. დავინტერესდი და როგორც აღმოჩნდა, არაერთი პრობლემა მოუწესრიგებელი ლოჯისტიკით იყო გამოწვეული. მივხვდი, რომ ამ ნიშის ათვისება კარგად შეიძლებოდა, ამიტომ 2017 წელს ჩემი პროფესიული საქმიანობა სოფლის მეურნეობას დავუკავშირე“, – იხსენებს ნინო კაპანაძე.

ნინო 50 წლისაა. ორი შვილი ჰყავს და ამჟამად „ფრუტ ლოჯისტიკას“ ხელმძღვანელობს. პირველი ნაბიჯები სოფლის მეურნეობაში სწორედ „ფრუტ ლოჯისტიკასთან“ ერთად გადადგა. მაშინ კომპანიას მხოლოდ ერთი პროფილი ჰქონდა და ფერმერებს ხილ-ბოსტნეულის რეალიზაციაში ეხმარებოდა. თავდაპირველად ნინო ინვესტორი იყო, მოგვიანებით კი მან კრიზისში მყოფი „ფრუტ ლოჯისტიკის“ მართვაც სრულად გადაიბარა.

„საქმიანობას რომ შევუდექი, ყველა რეგიონი მოვიარე, თითოეულ ფერმერს შევხვდი, მათი პრობლემები მოვისმინე. სწორედ მაშინ გავიგე, რომ საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის 600-ზე მეტი სახეობა მოდის. მივხვდი, ეს იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი ინდუსტრია, რომელსაც აღარასდროს მივატოვებდი და ამ ბიზნესს ფეხზე აუცილებლად დავაყენებდი“, – იხსენებს ნინო.

მიზნის მიღწევა კონკრეტულ მოქმედებებს საჭიროებდა, ამიტომ 2019 წელს „ფრუტ ლოჯისტიკის“ დირექტორი კერძო საინვესტიციო ფონდს, „გაზელ ფაინენსს“ დაუკავშირდა და საწყობის გასაფართოებლად დაფინანსება სთხოვა. იმ პერიოდში მისი კომპანია უკვე დიდ მარკეტებთანაც თანამშრომლობდა, ფერმერებისგან ხილი და ბოსტნეული მოჰქონდა, ახარისხებდა, სპეციალურ სამაცივრე სივრცეებში ინახავდა და შემდეგ ქსელებში სარეალიზაციოდ ანაწილებდა. მიღებული პროდუქციის მასშტაბი იმდენად დიდი იყო, რომ კომპანიას ინფრასტრუქტურის განვითარება და სწრაფი დაფინანსება ესაჭიროებოდა.

„გაზელ ფაინენსმა“ მაშინ სტარტაპის დონის კომპანიას ნახევარი მილიონი აშშ დოლარი გვანდო. ამ თანხით ახალი წარმოება ავაშენეთ, თანამედროვე სამაცივრე მეურნეობა შევქმენით, საჭირო დანადგარები შევიძინეთ და 1000-მდე ფერმერთან თანამშრომლობა წარმატებით გავაგრძელეთ. ახლა ჩვენი 4 სამაცივრე სივრცე 1000 ტონაზე მეტ პროდუქტს ინახავს“, – ამბობს ნინო.

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, კომპანიის საქმიანობა კიდევ უფრო წინ წავიდა. ფერმერები მოსავლის მოყვანასა და ხარისხზე იყვნენ ორიენტირებულები, რეალიზაციაში კი მათ „ფრუტ ლოჯისტიკა“ ეხმარებოდა და ხშირად ეს დახმარება ცოდნის გაზიარებასაც გულისხმობდა. ნინო მათ თავადაც ურჩევდა, რა სახეობები მოეყვანათ, საჭირო პროგნოზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს უზიარებდა, სტაბილური ხარისხის სანაცვლოდ, გარანტირებულ ფასს სთავაზობდა, ბევრ მათგანს კი პირდაპირ ქსელურ მარკეტებთან აკავშირებდა. ამბობს, რომ ამ პროცესში ბევრი ინოვატორი ფერმერი ქალი აღმოაჩინა.

„თუ სადმე ჩვენი ბაზრისთვის უჩვეულო, საინტერესო პროდუქცია მინახავს, მაგალითად, პატარა ბადრიჯნები, ჰალაპენიოები, ფერადი ბროკოლი – ყველა ქალების მოყვანილია, ყველაფერში მათი ხელი ურევია. ქალებს მოსწონთ ექსპერიმენტები და ინოვაციები“, – აღნიშნავს ის.

სიახლეების სიყვარული არც „ფრუტ ლოჯისტიკის“ ხელმძღვანელისთვისაა უცხო,

რამაც კომპანიაში საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულება შექმნა. „ვიზუალური წუნის, ზოგჯერ კი უხვი მოსავლის გამო, ბევრ პროდუქტს ვყრიდით. ერთხელაც, როცა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ალუჩა დაგვრჩა, მისგან საწებლის დამზადება მოვიფიქრეთ. საწებელს მურაბებიც მოჰყვა. მაშინ გადავწყვიტე, რომ წუნდებული ან ჭარბი ხილი და ბოსტნეული აღარ გადაგვეყარა და კონსერვირებული საკვების დამზადება დაგვეწყო“, – ამბობს ნინო.

დღეს უკვე „ფრუტ ლოჯისტიკა“, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, 60 სახეობის პროდუქტს – ტყემალს, აჯიკას, საწებელს, ლეჩოს, სადილებს, ტომატის პასტას, კომპოტებს, მურაბებსა და ჯემებს აწარმოებს, 22 მათგანი კი ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ექსპორტზე გადის და დიდი მოწონებითაც სარგებლობს. თითოეული სახეობა დაახლოებით 5000-10000 ქილამდე მზადდება. თანაც, ბიზნესპროცესი სრულად ეკომეგობრულია: „ფრუტ ლოჯისტიკის“ შენობის სახურავზე მზის

ნინო კაპანაძე „ფრუტ ლოჯისტიკის“ წარმოებულ პროდუქტებთან

პანელებია დამონტაჟებული და საწარმო მხოლოდ განახლებად ენერგიას მოიხმარს.

წარმოების გარდა, ფერმერებთან მჭიდრო თანამშრომლობამ ნინოს კიდევ ერთი იდეა შთააგონა. გადაწყვიტა, „ფრუტ ლოჯისტიკის“ მაღაზიებიც გაეხსნა და მცირე რაოდენობის პროდუქცია, რომელიც დიდ ქსელებში ვერ იყიდებოდა, მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა. ასე შეიქმნა 2022 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გორში „ევრომარტის“ პირველი ფილიალი, სადაც ადგილობრივებს ხილსა და ბოსტნეულთან ერთად, იმპორტირებული შერეული პროდუქციის შეძენაც შეეძლოთ. თანდათან მაღაზიათა ქსელიც გაფართოვდა. ახლა კახეთში უკვე „ევრომარტის“ 4 ფილიალი ფუნქციონირებს, თბილისში კი „ფრუტ ლოჯისტიკის“ 6 მაღაზიაა გახსნილი. დედაქალაქში მათ „გურმანიას“ სახელით იცნობენ.

„გურმანია“ მომხმარებლებს ფერმერებისა და თავად „ფრუტ ლოჯისტიკის“ ნაწარმს სთავაზობს. სპეციალურად თბილისის მაღაზიებისთვის საწარმოში იქმნება მზა კვების პროდუქტები, ცხვება პური და ფუნთუშეული. აქვე იყიდება შერეული პროდუქციაც: კოსმეტიკა, ტანსაცმელი და სახლის მოვლის საშუალებები.

გაფართოებისა და განვითარების პროცესში „ფრუტ ლოჯისტიკას“ ყოველთვის „გაზელ ფაინენსი“ უჭერდა მხარს. „გურმანია“ კომპანიამ სწორედ ამ საინვესტიციო ფონდთან პარტნიორობით წა-

„გაზელ ფაინენსის“ აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი საინვესტიციო ოფიცერი **ნათია ჯანელიძე:**

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, თუ გლობალურ ეკონომიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას შევძლებთ, 2025 წლისთვის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი 28 აშშ ტრილიონით მოიმატებს. ასეთი დიდი რესურსი გვაქვს ჩვენ და მსოფლიო ეკონომიკას ქალების სახით და ერთობლივი ძალისხმევით მჯერა, რომ ამ შედეგს ეტაპობრივად გავაუმჯობესებთ.

მოიწყო. ნინოს ამ დროისთვის ყველა ფინანსური ვალდებულება უკვე დაფარული აქვს.

„ბევრი ქალისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა პრობლემად რჩება. „გაზელ ფაინენსი“ რომ არ ყოფილიყო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ქალი მსესხებლების მიმართ განსხვავებული პოლიტიკა აქვს, შესაძლოა, საწყის ეტაპზე საჭირო თანხა ვერ მიმეღო. დამწყები ბიზნესისთვის ფინანსები ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაზე კარგმა იდეამაც კი, თუ დროში გაიწელება, შესაძლოა, ეფექტიანობა დაკარგოს და წამგებიანად იქცეს, ამიტომ ჩვენ მიმართ გამოცხადებულმა ნდობამ დიდი როლი ითამაშა. ქალების მეწარმეობის განვითარება, მათი განსხვავებული ხედვების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია“,- აღნიშნავს ნინო.

დღესდღეობით „ფრუტ ლოჯისტიკაში“ დასაქმებული 200-მდე თანამშრომლიდან 180 ქალია. „ჩემს გოგოებთან ერთად ფიზიკურადაც ვშრომობ. სულ მათ გვერდით ვარ და მინდა, ყოველთვის ჰქონდეთ ამ თანადგომის იმედი“, – აღნიშნავს ის.

სამომავლოდ ნინოს სურს, მაღაზიების ქსელი კიდევ უფრო გააფართოოს და მათი რიცხვი თბილისში 20-მდე, ქვეყნის მასშტაბით კი – 30-მდე გაზარდოს. „ფრუტ ლოჯისტიკის“ ხელმძღვანელი, პროდუქციის ექსპორტის განვითარებასთან ერთად, საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული ხილისა და ბოსტნეულიც გატანას, რეგიონებში კი ადგილობრივი წარმოებების გახსნასაც აპირებს. ■

→ „გაზელ ფაინენსში“ ქალები მენეჯერული პოზიციების 66%-ს იკავებენ, პარტნიორების 50% ქალია, საინვესტიციო კომიტეტის (IC) 40%-ს ასევე ქალები შეადგენენ და, ზოგადად, სამუშაო ძალის 50%-ზე მეტი ქალებითაა დაკომპლექტებული. „გაზელ ფაინენსი“ განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კომპანიის საქმიანობა უფრო და უფრო მეტი ქალისთვის ხდის შესაძლებელს, მიიღოს ის დაფინანსება, რომელიც მათ ბიზნესის დაწყების ან გაფართოებისთვის სჭირდებათ. „გაზელ ფაინენსის“ ინვესტიცია განხორციელებულია 46 პორტფელის კომპანიაში, რომელთა 27% ქალების მფლობელობაშია ან ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალები არიან წარმოდგენილები. უფრო მეტიც, ამ პორტფელურ კომპანიებში შექმნილი 1657 სამუშაო ადგილიდან, 1081, ანუ 65%, ქალებს უკავიათ.

ქალები საზღვაო ინდუსტრიისთვის

„ბავშვობიდან ვუყურებდი ბუღალტერ ბებიას, რომელსაც ზოგჯერ სამუშაო სახლშიც მოჰქონდა. მისი საქმე ისე ძალიან მომწონდა, რომ მინდოდა, იმავე პროფესიას გავყოლოდი. თუმცა, საბოლოოდ, ბაბუასავით პორტში აღმოვჩნდი და უკვე მერვე წელია, აქ ვარ“, – იხსენებს მაია მიქაბერიძე, კომპანია „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ გაყიდვების ოპერაციების მენეჯერი.

მაია 30 წლისაა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დასრულების შემდეგ გერმანიაში ცხოვრობდა. სამშობლოში დროებით დაბრუნებულმა, აღმოაჩინა, რომ კომპანია „ეიპიემ ტერმინალს ფოთი“ სტაჟირების პროგრამისთვის კანდიდატებს ეძებდა. როგორც ქალაქის მაცხოვრებლების უმეტესობას, გულმა ბოლოს მასაც პორტისკენ გაუწია, რეზიუმე გაგზავნა და პროგრამის პირველი ნაკადის მონაწილეც გახდა. მაია მაშინ 23 წლის იყო.

„არა მარტო ბაბუა, ჩემი ძმაც დიდი ხანია აქ მუშაობს, ამიტომ ყველა მეკითხებოდა, შენც პორტში მიდიხარო? ალბათ,

გაყიდვების ოპერაციების მენეჯერი მაია მიქაბერიძე და ტრანსფორმაციის სამსახურის პარტნიორი დიანა ხახუტაიშვილი ფოთის პორტში

მაია მიქაბერიძე და დიანა ხახუტაიშვილი პორტის ნავმისადგომში

იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, სხვა პროფესიას ავირჩევდი. სტაჟირების პერიოდში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემი საქმე ეს იყო. პორტი თავისი ადამიანებით, ურთიერთობებით, ტექნიკითაც კი საკუთარი ოჯახივით შემიყვარდა“,- ამბობს მაია.

ფოთის საზღვაო ნავსადგური ყველაზე დიდი და მრავალფუნქციური ნავსადგურია საქართველოში. ის 165 წლისაა და არა მარტო ქვეყნისთვის, მთლიანად რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ფოთის პორტს Maersk-ის ჯგუფის წევრი APM Terminals-ი მართავს, რომელიც 2017 წლიდან ტალანტების მოზიდვისა და განვითარების პროგრამა „ინპორტს“ ახორციელებს. მაიას კარიერაც ამ პროგრამით დაიწყო. სტაჟირების გავლის შემდეგ ის ჯერ მომხმარებელთა მომსახურების ცენტრის ოფიცრის პოზიციაზე დასაქმდა, მერე მომხმარებელზე ზრუნვის პარტნიორი გახდა, მოგვიანებით გაყიდვების წარმომადგენლის საფეხურიც გაიარა და ახლა უკვე გაყიდვების ოპერაციების მენეჯერია — ხელმძღვანელობს გუნდს, რომელშიც სტაჟიორად მივიდა. 16 თანამშრომელთან ერთად, მაია მომხმარებლების მომსახურებასა და ბილინგს უძღვება.

„ამ ადამიანებს შორის ზოგი 20 წელზე მეტია, პორტში მუშაობს. მათგან უამრავი რამ ვისწავლე, ამიტომ ეს პოზიცია უპირველესად უდიდესი პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, ამავდროულად, ჩემი მაგალითი კარგი მოტივაციაა სხვა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჩვენს კომპანიაში სტაჟიორებად მოდიან“, – ამბობს მაია.

კარიერული ზრდის ისტორიაა 28 წლის დიანა ხახუტაიშვილის ამბავიც, რომელიც ფოთის პორტში ასევე სტაჟირების პროგრამით მოხვდა და ამჟამად კომპანიის ტრანსფორმაციის სამსახურის პარტნიორის პოზიციაზე მუშაობს.

როცა სტაჟირების შესახებ შეიტყო, დიანა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკოლოგიის ბაკალავრიატს ამთავრებდა და მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებას საქართველოში ან გერმანიაში, ისევ ეკოლოგიის მიმართულებით გეგმავდა. „ახლოს, ქობულეთში კი გავიზარდე, მაგრამ ფოთში მხოლოდ გავლით ვიყავი ნამყოფი. ვფიქრობდი, ვცდი, ნამდვილ გასაუბრებაზე მაინც გავალ-მეთქი“, – იხსენებს დიანა.

გასაუბრება წარმატებით გაიარა, პროგრამის 14 მონაწილეს შორისაც მოხვდა და, პარალელურად, გარემოს მდგრადი განვითარების მიმართულებით მაგისტრატურაზეც ჩააბარა. სტაჟირების დასრულების შემდეგ დიანას ჯანმრთელობის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დეპარტამენტში მხარდაჭერის ოფიცრის პოზიცია შესთავაზეს. „რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მაშინ 22 წლის ვიყავი, პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და ვცდილობდი, კიდევ უფრო მეტი მესწავლა კომპანიის საქმიანობის შესახებ. საბედნიეროდ, ამის საშუალებაც მეძლეოდა“, – ამბობს დიანა.

უკვე ამ დეპარტამენტის კოორდინატორი იყო, როცა მსოფლიოში COVID-19-ის პანდემია დაიწყო. დიანას დეპარტამენტს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრა: ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტს მუშაობა არ უნდა შეეწყვიტა, თანაც, თანამშრომლების ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვით.

„ეს იყო კრიზისი, რომელსაც ძალიან კარგად გავუმკლავდით და გამოცდილება, რომლითაც ვამაყობ. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს სტრატეგიულ ობიექტზე მუშაობა და როგორი მნიშვნელოვანია პორტი შენი ქვეყნისთვის“, – იხსენებს დიანა.

მალევე ჯანმრთელობის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის დეპარტამენტში ბიზნესპარტნიორად დაწინაურდა. პარალელურად, კომპანიის Lean მეთოდოლოგიის სწავლების აკადემიაში ჩაერთო და ტრენერად გადამზადდა. ახლა თანამშრომლებს, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ბიზნესპროცესების

წარმართვისა და გაუმჯობესების შესახებ საკუთარ ცოდნას უზიარებს. ამავდროულად, თანამშრომლებთან ერთად, ბიზნესპროცესების კოორდინირებასა თუ გაუმჯობესებაში მონაწილეობს და კომპანიის მენეჯმენტს წინასწარ დადგენილი პოლიტიკის დანერგვაში ეხმარება.

საზღვაო ინდუსტრია კაცებითაა დომინირებული. ქალების სიმცირე ამ სფეროში გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს და უმეტესად საზოგადოებაში გავრცელებული არასწორი დამოკიდებულებებითაა განპირობებული — სტერეოტიპებით, რომლებიც ამ ინდუსტრიაში მომუშავე ყველა ქალისთვისაა ნაცნობი.

„ერთხელ გემი ტარიფის გადაუხდელობის გამო რომ გავაჩერე, მისი აგენტი მოვიდა და მკითხა: შვილო, უფროსები სად არიან, ასეთმა პატარა გოგომ გემის დაცლა-დატვირთვაზე რა უნდა იცოდეო. ზოგჯერ კაცი თუ დარეკავდა და გოგოს ხმას გაიგებდა, ჯერ დუმდა, მერე თიშავდა და ხელახლა რეკავდა, იმ იმედით, რომ მეორედ უკვე კაცი უპასუხებდა. თითქოს არ გენდობოდა. ზოგს ახლაც ჰგონია, რომ რადგან პორტია, აქ ქალი არ უნდა მუშაობდეს, მით უფრო ღამის ცვლაში. ისიც მახსოვს, შვილი რომ გავაჩინე და, ჩემი საქმის სიყვარულის გამო, 4 თვეში სამსახურში დავბრუნდი, მეუბნებოდნენ, ბავშვს მოუარე, რა კონტეინერს დასდევო. ზოგჯერ კი ქალს პირიქითაც ეტყვიან ხოლმე, თუ კარიერა გინდოდა, შვილს რატომ აჩენდიო. ჩვენ, თუ სათანადო გარემო გვაქვს, ყველაფერს ვუთავსებთ “, – აღნიშნავს მაია. თუმცა, მიიჩნევს, რომ შეხედულებების პროგრესული ცვლილება ბოლო დროს მაინც იგრძნობა და ეს უპირველესად ქალების პროფესიონალიზმმა, საქმისადმი დამოკიდებულებამ და პასუხისმგებლობამ მოიტანა.

ბოლო დროს საზღვაო პროფესიებით გოგოების დაინტერესებამ იმატა: „მომწონს ეს ტენდენცია. თანაც, გასაუბრებაზე მოსული ბიჭები ხედავენ, რომ მათ კონკურენტებს შორის ბევრი გოგოცაა. ეს ძალიან კარგია. თვითონ გასაუბრების პროცესიც მნიშვნელოვანია. ქალმა შენი შეკითხვებით, მიდგომებით არ უნდა იგრძნოს, რომ აქ არაფერი ესაქმება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია“, – დასძენს მაია.

დამსაქმებლების სწორ მიდგომებზე ამახვილებს ყურადღებას დიანაც: „გვერდით არ უნდა გადადო რეზიუმე, რადგან ქალმა გამოგზავნა. პირიქით, სჯობს, ყველა გოგო დაიბარო. თუ პოტენციალს შეამჩნევ, აიყვანო და საქმის ათვისებაში დაეხმარო. მთავარია, მიზნად დაისახო, რომ არავინ დააბრკოლო მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია. როცა ბევრი წარმატებული ქალის მაგალითი გაჩნდება, სტერეოტიპიც შეიცვლება“, – აღნიშნავს ის.

გოგოები ამბობენ, რომ დამოკიდებულებების შეცვლას რეალური ისტორიების არსებობაც უწყობს ხელს. მაიას ნაცნობები რჩევისთვის ხშირად ურეკავენ. აინტერესებთ, სტაჟირება გოგოებისთვის რა პერსპექტივას ქმნის. „იმედია, ახალი თაობის გოგოებს მაინც დავეხმარებით, რომ ასეთ სფეროებში დასაქმების სურვილი ხმამაღლა გამოხატონ“, – ამბობს მაია.

> „ეიპიემ ტერმინალს ფოთის” გენერალური დირექტორი
> **ქრისტიან რიოდერი:**
>
> **„თანასწორობის პოპულარიზაცია არა მხოლოდ სწორი მიდგომა, არამედ მომხმარებლებზე, ადამიანებსა და შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული ორგანიზაციის მშენებლობის აუცილებელი ფაქტორია. ჩვენ ევროპული კომპანია ვართ, ამიტომ გვაქვს პასუხისმგებლობა, თანამშრომლებს კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები მივცეთ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ სამუშაო გარემო, სადაც თითოეულ მათგანს შეეძლება საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება. ამავდროულად, ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებსაც, რომლებიც საზღვაო ინდუსტრიაში ქალთა დასაქმებასა და გაძლიერებას უკავშირდება”.**

რეალური მაგალითებისა და ინფორმაციის მნიშვნელობაზე საუბრობს დიანაც: „ბავშვობაში, როცა პროფესიაზე ვფიქრობდი, არასდროს უთქვამთ, საზღვაო ინდუსტრია სცადეო. ირგვლივ ყველასთვის წარმოუდგენელი იყო, თორემ ეს საქმე იმდენად საინტერესოა, შეიძლება, ახლა გემზე საერთოდაც კაპიტანი ვყოფილიყავი. ჩემს ისტორიას სხვა გოგოებს სწორედ ამ მოტივაციით ვუყვები. ვეუბნები, რომ შეუძლიათ, უნდა სცადონ და მე ვიქნები პირველი, ვინც მათ წინსვლაში დაეხმარება“, – აღნიშნავს ის.

მაია და დიანა ფიქრობენ, რომ ნებისმიერი ინდუსტრიის განვითარებაში ქალების როლი და წვლილი დიდია. სწორედ მათმა მონაწილეობამ გაზარდა გლობალურად საზღვაო სფეროს ცნობადობა, თანამშრომლების კეთილდღეობასა და კმაყოფილებაზე ზრუნვა, რაც საბოლოოდ ბიზნესის წარმატებაზეც აისახება. ■

➔ „კომპანია „ეიპიემ ტერმინალს ფოთში“ 2017 წლიდან ტალანტების მოზიდვისა და განვითარების პროგრამა „ინპორტი“ ხორციელდება. პროგრამა ყოველ წელს ნავსადგურში 10-მდე ახალგაზრდას აძლევს 4-თვიანი თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლის საშუალებას. ამ პერიოდის განმავლობაში, ცოდნის მიღებასთან ერთად, ისინი კონკურენტულ უნარ-ჩვევებს, გუნდურობას ივითარებენ და შემდგომი კარიერული გამოწვევებისთვის ემზადებიან.
პროგრამა დეპარტამენტების საქმიანობაში მონაწილეების უშუალო ჩართულობას ითვალისწინებს. ეხმარება მათ, უკეთ გაეცნონ ამა თუ იმ სამსახურის მუშაობის სპეციფიკას და გააზრებული კარიერული გადაწყვეტილება მიიღონ. „ინპორტის“ პროგრამაში უკვე 70-მდე ადგილობრივმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. 24 სტაჟიორი გოგოდან 12 კი კომპანიაში დასაქმდა.
„ეიპიემ ტერმინალს ფოთში“ ამჟამად 800 თანამშრომელია, რომელთა უმრავლესობა კაცია. სწორედ ამიტომ, ხარისხიან განათლებასთან ერთად, კომპანია ცდილობს, ტექნიკური ტიპის პოზიციებზე ქალების წარმომადგენლობა წაახალისოს. სულ ახლახან „ეიპიემ ტერმინალს ფოთმა“ 2 ქალი საპორტო ტექნიკის ოპერატორებად დაასაქმა და აქტიურად განაგრძობს ქალების დაინტერესებას საზღვაო ინდუსტრიაში.

პატარა ავტოსკოლიდან საგზაო აკადემიამდე

„ავტომანქანა ჯერ კიდევ ბავშვობაში მიყვარდა და ძალიან მაინტერესებდა. ჩემი გატაცება რომ შეამჩნია, მამამ მართვა ადრეული ასაკიდან მასწავლა. სხვათა შორის, ეს ტრადიცია გავაგრძელე და ორივე შვილი მე დავსვი საჭესთან. ზოგადად ფრთხილი მძღოლი ვარ, დღემდე საგზაო შემთხვევა არ მქონია. სხვებთანაც როცა ვჯდები, სულ შენიშვნებს ვიძლევი. ალბათ, ეს პროფესიულიცაა“, – ჰყვება სოფიო გუდაძე. სოფიო 44 წლისაა, გორში ცხოვრობს, ქალაქში ცნობილ ავტოსკოლას „რბოლას“ ხელმძღვანელობს და მართვის გამოცდის მისაღებად საჭირო თეორიასაც ასწავლის. CE კატეგორიის გარდა, თავადაც ყველა სატრანსპორტო საშუალებას მართავს: სატვირთო მანქანასაც და – ავტობუსსაც. პროფესიით იურისტია, სწავლა რომ დაამთავრა, 2004 წელს გორის პროფესიულ კოლეჯში, სამოქალაქო განათლებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, 2008 წლიდან კი ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო კოლეჯში, საქმის წარმოების მთავარ სპეციალისტად გადავიდა. ავტომობილის მართვის კურსი პირველად აქ მოამზადა, ავტორიზაცია მიიღო და თეორიული ნაწილის სწავლებაც დაიწყო. მოგვიანებით, როცა კოლეჯი დაიხურა, სოფიომ პატარა, 15 კვ/მ-ის ფართობის ოთახში საკუთარი ავტოსკოლა „რბოლა“ გახსნა. „ერთი ლეპტოპი მქონდა, ერთი მონიტორი და ერთიც – ძველი მაგიდა, რომელსაც დღემდე ვინახავ. მერე სააგენტოსგან „აწარმოე საქართველოში“ 3000-ლარიანი გრანტი მივიღე, საგზაო ნიშნები და თვალსაჩინოებები შევიძინე, თეორიის სწავლება დავიწყე და ჩემი საყვარელი საქმე შემოსავლის მომტან ბიზნესად ვაქციე“, – ჰყვება სოფიო. ავტოსკოლა თანდათან განვითარდა, ფუნქციონირება უფრო დიდ სივრცეში განაგრძო და მსურველებს ავტომობილის პრაქტიკული მართვის სწავლებაც შესთავაზა. სოფიო იხსენებს, რომ პირველი სასწავლო ავტომობილი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალისგან“ მიღებული კრედიტით განაბაჟა, თანხის ნაწილით მონიტორები, ლეპტოპები და სხვა საჭირო ტექნიკაც შეიძინა, ნაწილით კი ფართი გაარემონტა და ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გასაცემად საჭირო ლიცენზიაც მიიღო. ერთი წლის წინ, ისევ „კრისტალის“ ფინანსური მხარდაჭერით, სოფიომ სასწავლო მოედანი მოაწყო და დამატებითი მანქანებიც შეიძინა. ახლა სკოლაში ყველა მატერიალური რესურსია, რაც ნებისმიერი კატეგორიის მართვის მოწმობის

გორის ავტოსკოლა „რბოლას" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი სოფიო გუდაძე

მისაღებად, თეორიული თუ პრაქტიკული სწავლებისთვისაა საჭირო. „ასეთი თანამედროვე მოდელის სკოლა-კომპლექსი მანამდე გორში არ არსებობდა. სამი სასწავლო ავტომობილი მყავს: ერთი მექანიკა და ორი ავტომატიკა. სასწავლო მოედანი რომ არ მქონდა, მოსწავლეებს სხვა მძღოლ მასწავლებლებთან ვგზავნიდი და, ბუნებრივია, შემოსავალსაც ვკარგავდი. ახლა თვეში თითქმის გაორმაგებულ რაოდენობას – 30 მოსწავლეს ვამზადებ. სხვათა შორის, მათი უმეტესობა ქალია“, – აღნიშნავს სოფიო და დასძენს, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობამ ავტოსკოლის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა: „სამწუხაროდ, კრედიტის მიღება ქალებისთვის პრობლემაა. მის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა. ერთიან თანხას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს“, – ამბობს ის. სოფიოს სასწავლო მოედნის მოწყობა „კრისტალმა“ გენდერული ობლიგაციების გამოშვების შემდეგ დაუფინანსა. 25 მილიონი ლარის მოცულობის პირველი სერტიფიცირებული გენდერული ობლიგაციები კომპანიამ, აზიის განვითარების ბანკთან ერთად, 2023 წლის თებერვალში გამოუშვა. პროექტი არა მარტო ქვეყანაში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც პრეცედენტული იყო. მის სოციალურ მიზანს კი მეწარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის

ბიზნესების დაფინანსება, საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა წარმოადგენდა. დღეს სოფიო სხვა ქალებს უკვე თავადაც აძლიერებს. 2022 წლიდან მისი ავტოსკოლა ჩართულია ქალების მძღოლებად გადამზადების პროგრამაში, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით ხორციელდება. ინიციატივა გენდერულ თანასწორობასა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ქალების სამუშაო ძალაში ჩართულობის წახალისებას ემსახურება. ერთ- ერთი კომპონენტი კი მათ საშუალებას აძლევს, D კატეგორიის მართვის მოწმობისთვის მოემზადონ და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ავტობუსის მძღოლად დასაქმების შესაძლებლობა მიიღონ. თეორიულ ნაწილს მონაწილეებს თავად სოფიო ასწავლის.

„პირველად ბაკურიანიდან და თბილისიდან 9 ქალი გადავამზადეთ. მონაწილეებს ისე ძალიან ვგულშემატკივრობდი, რომ ავტობუსის მართვა მეც ვისწავლე და გამოცდაზეც მათთან ერთად გავედი. ახლა უკვე ჯამში 35 ქალი გვყავს გადამზადებული და, რა თქმა უნდა, მხარდასაჭერად ყველას გამოცდაზე ვარ ნამყოფი. ამ ქალებს უამრავი სტერეოტიპის გადალახვა უწევთ, ამიტომ მათთვის არა მარტო მასწავლებელი, არამედ მეგობარიც ვარ. იციან, რომ ყოველთვის შეუძლიათ ჩემი იმედი ჰქონდეთ“, – ამბობს ის. ამჟამად „ავტოსკოლაში“ გადამზადებული ყველა ქალი ახალი პროფესიით მუშაობს. ერთ- ერთი მათგანი კი „რბოლაში“ ინსტრუქტორიცაა და ავტობუსის მართვას პროგრამის სხვა მონაწილეებს უკვე თავად ასწავლის. სოფიოს ამჟამინდელი ყველაზე მნიშვნელოვანი გეგმა ავტოსკოლის საგზაო აკადემიად ტრანსფორმაციაა. სურს, ტაქოგრაფის კურსის სწავლების ლიცენზია მიიღოს, საერთაშორისო სატვირთო ავტომობილების მძღოლები გადაამზადოს და მათზე შესაბამისი დოკუმენტაციაც გასცეს. ■

გორის ავტოსკოლა „რბოლას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი სოფიო გუდაძე ავტოსკოლის სასწავლო მოედანზე

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალის” გარემოსდაცვითი და კორპორაციული მდგრადობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **მაია ქობალია:**

პირველი გენდერული ობლიგაციების გამოშვების გარდა, „კრისტალი” პირველი იყო იმ 5 კომპანიას შორის საქართველოში, რომლებმაც გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს მოაწერეს ხელი და დაიჯერეს ამ პრინციპების ჯერ კიდევ 2016 წელს. გვიხარია, რომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსა და ინვესტორებთან ერთად, მნიშვნელოვან, კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ გენდერული თანასწორობის მისაღწევად ჩვენს ქვეყანაში. კომპანიის სამომავლო გეგმების პრიორიტეტულ, სტრატეგიულ მიმართულებად კი კვლავაც რჩება ქალთა პიროვნულ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ზრუნვა. ამით, ვფიქრობთ, ჩვენი მცირედი, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაში.

➔ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მეწარმე ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათთვის მნიშვნელოვანი ცოდნისა და საჭირო გამოცდილების გაზიარება „კრისტალის“ ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია. აღსანიშნავია ასევე კომპანიის მრავალწლიანი თანამშრომლობა საერთაშორისო პლატფორმასთან Buzz Women Global (ბაზ ვიმენ გლობალი). მხოლოდ 2020-2024 წლებში, Buzz Georgia-ს ფარგლებში, პიროვნული, სამეწარმეო და ეკონომიკური გაძლიერების ტრენინგები 4,700-მა ქალმა გაიარა.საგულისხმოა, რომ „კრისტალის“ შვილობილი კომპანიის, „კრისტალ კონსალტინგის“ დახმარებით, 2020 წლიდან USAID-ის პროგრამის „ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID YES-Georgia)“ ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, მეწარმე ქალებმა საკონსულტაციო სერვისებითა და მენტორინგით სარგებლობა შეძლეს. „კრისტალ კონსალტინგი“ მათ ბიზნესკონსულტაციებსა და მენტორობას ისეთ საკითხებზე უწევდა, როგორებიცაა ბიზნესის მართვა, მომხმარებლებთან ურთიერთობა, ბრენდინგი, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა. „კრისტალ კონსალტინგის“ დახმარებით, მეწარმეებმა ეკონომიკური წარმატებისთვის საჭირო და კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცოდნა, ინფორმაცია, უნარები და კავშირები შეიძინეს.

თქვენ ეხმარებით ქალებს, რომლებიც საფრთხეს გაექცნენ

36 წლის მარიამი* თბილისში, სამ არასრულწლოვან შვილთან ერთად, ქირით ცხოვრობს. სტუდენტი იყო, როცა დაქორწინდა და პირველი ბავშვი შეეძინა. რადგან დამტოვებელი არავინ ჰყავდა, იძულებული გახდა, სწავლა შეეწყვიტა. „მერე კიდევ ორი შვილი მეყოლა და, სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების მიღება ვეღარ მოვახერხე“, – იხსენებს ის.

მარიამი არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ თავშესაფარში 5 წლის წინ, სოციალური მუშაკის რჩევით მოვიდა. „ისე მოხდა, რომ ოჯახური კონფლიქტის შემდეგ პატარა ბავშვებთან ერთად დავრჩი. უიმედოდ ვიყავი: არც სამსახური მქონდა, არც – განათლება, ვეღარც ქირას ვიხდიდი. მაშინ თავშესაფარი რა იყო, საერთოდ არ ვიცოდი. წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ უნდა მეცხოვრა და ძალიან განვიცდიდი, თუმცა აქ ყველა გვერდით დამიდგა“, – იხსენებს მარიამი, რომელმაც თავშესაფარში 5 თვე გაატარა.

ამ პერიოდის განმავლობაში მან და ბავშვებმა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება მიიღეს. რაც მთავარია, მარიამმა ახალი პროფესიაც შეიძინა. კერძების მომზადება და ცხობა მანამდეც კარგად გამოსდიოდა, ამიტომ მუშაობა თავშესაფრის სოციალურ საწარმოში, „გემომეტრიაში“ დაიწყო. მერე კი კურსებიც გაიარა და კონდიტერია, კანაპეებისა და ფურშეტების მომზადება ისწავლა.

კულინარიისა და კონდიტერიის მასტერ-კლასები ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა თავშესაფარში მცხოვრები ქალებისთვის პირველად 2017 წელს ჩაატარა. საჭირო ინვენტარი მაშინ ორგანიზაციამ დონორების დახმარებით შეიძინა და მალევე შენობაში თანამედროვე სამზარეულო მოაწყო. 2019 წელს კი, ისევ პარტნიორებისა და დონორების დაფინანსებით, სოციალური საწარმოსთვის თავშესაფრის ტერიტორიაზე ცალკე შენობა აშენდა. ასე შეიქმნა „გემომეტრია“, რომელმაც ქეითერინგის სერვისის შეთავაზება დაიწყო.

სოციალურ საწარმოში ყოველთვის ძალადობაგამოვლილი ქალები მუშაობდნენ. ახლაც აქ 10 მათგანია დასაქმებული, ერთ-ერთი მარიამიცაა. მართალია, თავშესაფარში აღარ ცხოვრობს, თუმცა „გემომეტრიაში“ ყოველდღე მოდის. დილის 8 საათიდან შუადღის 4 საათამდე შეკვეთებს ამზადებს, მერე 5 წლის შვილის გამოსაყვანად საბავშვო ბაღში მიდის. სამსახური ყველაფერში ხელს უწყობს. ახლა მარიამის ერთადერთი შემოსავალი „გემომეტრიაში“ აღებული ხელფასია. ამ

ქეითერინგის მომზადების პროცესი სოციალურ საწარმო „გემომეტრიაში“

თანხით ის ქირასაც იხდის და ბავშვებსაც ზრდის.

„რა თქმა უნდა, ფურშეტების მომზადება თავიდან ძალიან საპასუხისმგებლო იყო. მახსოვს, ინტერნეტითაც ვიძიებდი ინფორმაციას და დამოუკიდებლადაც ვსწავლობდი. არასდროს დამავიწყდება, ჩემს პირველ დიდ შეკვეთაზე როგორ ვღელავდი. უზარმაზარი შრომა და პასუხისმგებლობა იყო, მაგრამ საკუთარ თავს ვუმეორებდი, უნდა შევძლო და ეს გამოცდა ჩავაბარო-მეთქი. მართლაც, ყველაფერი წარმატებით მოვამზადეთ“, – იხსენებს მარიამი.

ქალების ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მა-

სოციალურ საწარმო „გემომეტრიაში“ დასაქმებული ქალი ამზადებს შეკვეთას.

შინ, როცა საკითხი ძალადობაგამოვლილ ქალებს ეხება. ხშირად მათ არც პროფესია აქვთ, არც – განათლება და მხარდამჭერების გარეშე დარჩენილებს, შემოსავლის არქონის გამო, ხშირად მოძალადესთან დაბრუნებაც უწევთ. „გემომეტრიის“ შექმნის მიზანი სწორედ მათი გაძლიერება და განმეორებითი ძალადობის რისკისგან დაცვა იყო.

ზოგადად, საქართველოში ძალადობის მსხვერპლი და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სერვისების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალები და გოგოები გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას განიცდიან, სტერეოტიპების, სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობის, შესაბამისი სისტემებისა და ორგანოების მიმართ არასაკმარისი ნდობის გამო, შემთხვევების ნაწილი გაუმჟღავნებელი რჩება. ასეთ დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გამართულ და ხარისხიან ფუნქციონირებას. ამ პროცესში კი კერძო სექტორის ჩართულობას გამორჩეული როლის შესრულება შეუძლია.

ნაბიჯებმა, რომლებიც ძალადობაგამოვლილი ქალების მხარდასაჭერად „ლიბერთიმ“ გადადგა, ეს როლი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. ბანკის HR და ადმინისტრაციის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნინო ჩიხლაძემ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავშესაფარში სტუმრობის შემდეგ, აქ მცხოვრები ქალებისა და ბავშვების საჭიროებების შესახებ ბანკის თანამშრომლებს უამბო. კოლეგების ინფორმირებამ შედეგი მალევე გამოიღო: რამდენიმე დღეში „ლიბერთიმ“ თავშესაფრისთვის ფინანსები გამოყო, დამატებით თანხა და ნივთები თანამშრომლებმაც შეაგროვეს. პარალელურად, ბანკმა გადაწყვიტა, ფურშეტის საჭიროების შემთხვევაში, ეს სერვისი „გემომეტრიისთვის“ დაეკვეთა და სოციალურ საწარმოში დასაქმებულებისთვის მხარდაჭერა ამგვარადაც გამოეხატა. სწორედ „ლიბერთის“ პირველი შეკვეთა აღმოჩნდა მარიამისთვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავშესაფარს ბიზნესიც დაეხმაროს. აქ ხომ ის ქალები არიან, რომლებიც მძიმე ძალადობას, საფრთხეს ან შესაძლოა, სიკვდილსაც გაექცნენ. როცა ორგანიზაციები ჩვენი ქითერინგით სარგებლობენ, მათი გადახდილი თანხა თავშესაფარში მცხოვრებ ქალებს ხმარდება. მეც, როცა შეკვეთებს ვამზადებ, სულ ვფიქრობ, რომ ჩემი შრომით აქ მყოფებს ვეხმარები და მახსენდება ის პერიოდიც, სხვა ქალები რომ ჩემთვის იმავეს აკეთებდნენ“, – აღნიშნავს მარიამი.

ლიბერთი ბანკი „გემომეტრიის“ მომსახურებით სარგებლობას კვლავაც გეგმავს. მარიამს კი სურს, მოემზადოს, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბაროს, გამომძიებელი გახდეს და ოჯახში ძალადობის საქმეებზე იმუშაოს. ■

**გმირის სახელი და ასაკი შეცვლილია.*

„ლიბერთის“ HR და ადმინისტრაციის მიმართულების ხელმძღვანელი **ნინო ჩიხლაძე:**

ამ პრობლემას ყველა ერთად უნდა შევეჭიდოთ: სახელმწიფო, ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები. სასიხარულოა, რომ წლიდან წლამდე საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერება მაღლდება, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ყველა ჩვენგანი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, უნდა ჩავერთოთ და გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯი, გავაკეთოთ კონკრეტული საქმე ძალადობაგამოვლილი ადამიანების დასახმარებლად.

→ „ლიბერთი“ ორგანიზაციის მიღმა ქალების გაძლიერებაზე აქტიურად მუშაობს და მათ განათლებაზე, დატრენინგებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზეც აკეთებს აქცენტს. ბანკის ინიციატივით, შექმნილია ონლაინტრენინგების პლატფორმა მეწარმე ქალებისთვის, რომელიც მეწარმეობის უნარების გაუმჯობესებასა და ცოდნის გაზიარებას ემსახურება. ამას გარდა, დანერგილია ინიციატივა Back to Education, რომელიც დასაქმების ბაზარზე დაბრუნების მსურველ ქალებს შესაბამისი გადამზადებით ეხმარება.

ლიანა შანშაშვილი, 59 წლის მასწავლებელი დედოფლისწყაროდან

ქალის ჯანმრთელობა ყველასთვისაა მნიშვნელოვანი

„1000 მასწავლებელი მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო სამედიცინო სერვისებით ისარგებლებს“ , – ეს ფრაზა 59 წლის ლიანა შანშაშვილმა ტელევიზიით, შემთხვევით გაიგო. დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტით მოიძია და აღმოაჩინა, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინიციატივით, მის ბაზაზე მოქმედ კლინიკაში პედაგოგებს სხვადასხვა კვლევის ჩატარება სრულიად უფასოდ შეეძლოთ.

ლიანა დედოფლისწყაროში ცხოვრობს და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანის მეორე საშუალო სკოლაში რუსულ ენას ასწავლის. 2 შვილი და 4 შვილიშვილი ჰყავს. უკვე 37 წელია, პედაგოგია, ამიტომ რეგიონებსა თუ დედაქალაქში ბევრ კოლეგას იცნობს. ფეისბუქზე მოძიებული ინფორმაცია და ბმული, რომელზეც სამედიცინო კვლევებზე რეგისტრაცია იყო შესაძლებელი, მაშინვე პროფესიულ ჯგუფებში გააზიარა, ზოგ კოლეგასა და სკოლის დირექტორს კი პირად შეტყობინებებშიც გაუგზავნა.

„ვისაც ვიცნობდი, ყველას მივწერე, თავადაც დავრეგისტრირდი და თბილისში წამოვედი. მომეწონა, რომ ძალიან მნიშ-

ლიანა შანმაშვილი, რომელმაც ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამით ისარგებლა და ამ პროგრამაში არაერთი კოლეგაც ჩართო

ვნელოვანი სამედიცინო სერვისები ერთ სივრცეში, კომფორტულად მივიღე. მერე სხვა მასწავლებლებიც იმავეს აღნიშნავდნენ და მადლობებს მიხდიდნენ, რომ გავაგებინე“, – იხსენებს ლიანა.

სოციალური კამპანია, რომელიც 1000 მასწავლებელი ქალისთვის უფასო სამედიცინო სერვისებით მომსახურებას გულისხმობდა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამის ნაწილია. კამპანიის ფარგლებში, პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ, უფასოდ ჩაიტარონ ენდოკრინოლოგიური, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, მამოლოგიური, სტომატოლოგიური თუ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები და დაგეგმონ ვიზიტი ფსიქოლოგთან. ამ დრომდე უფასო სამედიცინო სერვისებით უკვე 600-ზე მეტმა მასწავლებელმა ისარგებლა. ინიციატივა პოპულარული აღმოჩნდა ლიანას ნაცნობ პედაგოგებშიც.

„კოლეგებს რომ ვეუბნებოდი, ძალიან კარგი პროგრამაა-მეთქი, ინტერესდებოდნენ და ორ-ორი, სამ-სამი მიდიოდნენ. ეს ერთად წასვლა და ყველა სერვისით სარგებლობაც კარგი მოტივაცია იყო. სხვათა შორის, ზოგს საყურადღებო რაღაც აღმოაჩნდა და დროულად მიხედა“, – ჰყვება ლიანა.

პრევენციულ ჯანმრთელობაზე ზრუნვა საქართველოში ქალებს შორის არც ისე

> ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი, განათლების სკოლის დეკანი **თინათინ გაბრიჩიძე:**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ქალთა გაძლიერება როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფართო საზოგადოებაში. ჩვენ ხელს ვუწყობთ თანაბარ შესაძლებლობებს განათლებაში, ჯანდაცვაში, სპორტსა და სხვა მიმართულებებში როგორც ყოველდღიური აქტივობებით, ისე ფოკუსირებული პროგრამებით. მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული ინიციატივა სწორედ ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამაა, რომელიც ქალთა კეთილდღეობას უწყობს ხელს.

პოპულარულია. გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულებების კვლევის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და CRRC-საქართველოს მიერ ჩატარდა, ქალების მხოლოდ 29% ამბობს, რომ, პრევენციის მიზნით, რეგულარულ გეგმურ სამედიცინო შემოწმებას იტარებს. ლიანასა და მისი კოლეგების პროგრამაში აქტიურმა მონაწილეობამ მოტივაცია სხვა ქალებსაც მისცა.

„ხომ იცით, მასწავლებლის სიტყვას მაინც სხვა ფასი აქვს. როცა იგებენ, რომ კვლევებს ვიკეთებთ, სხვა ქალებიც მეტი ყურადღებით ეკიდებიან, სურვილი უჩნდებათ, რომ წავიდნენ, გაესინჯონ. ეს ძალიან კარგია, რადგან ქალის ჯანმრთელობა ყველასთვისაა მნიშვნელოვანი: ბავშვები სულ დედას შეჰყურებენ და როცა ის ჯანმრთელია, მთელი ოჯახი ბედნიერია“, – ამბობს ლიანა.

პრევენციული ჯანმრთელობის დაბალი გავრცელების კიდევ ერთი მიზეზი ჯანდაცვის მომსახურებების სიძვირეა. ბევრ ქალს სწორედ ეს ფაქტორი აფერხებს. „მასწავლებლები ვცდილობთ, არ მივაყურადოთ, რადგან თუ ჯანმრთელად არ ხარ, გაკვეთილს ვერ ატარებ, თუმცა ანალიზები, კვლევები, ექიმებთან ვიზიტი იმდენად ძვირი ღირს, რომ ზოგჯერ პრევენციისთვის ქალებს თანხის გადახდა უჭირთ“, – ამბობს ლიანა და ფიქრობს, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ინიციატივა სხვა კლინიკებისთვისაც მისაბაძი უნდა გახდეს. ■

→ ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი 2022 წლიდან ქალთა პერსონალიზებული ჯანმრთელობის პროგრამას ახორციელებს. მისი მიზანი სავალდებულო პროფილაქტიკური კვლევების ჩატარების პოპულარიზაცია, შესაბამისი კულტურის დანერგვა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხელშეწყობაა. პროგრამის ფარგლებში, ქალებს საშუალება აქვთ, მნიშვნელოვანი ენდოკრინოლოგიური, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, მამოლოგიური, სტომატოლოგიური თუ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევები ერთიანად, ხელმისაწვდომ ფასად ჩაიტარონ.
პროგრამა სოციალური პასუხისმგებლობის იდეით შეიქმნა და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა პროფილაქტიკური კვლევების ჩატარების ხელმისაწვდომობაა, რაც დამატებით მოტივაციას მისცემს ქალებს, ყოველწლიურად ჩაიტარონ სავალდებულო პროფილაქტიკური კვლევები და იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ხათუნა ჩხაიძე, 51 წლის მეფუტკრე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსიდან

როგორ გაციფრულდა გურული „თაფლოვანა“

ხათუნა ჩხაიძე ყოველ დილას 7 საათზე დგება: ჯერ ძროხებს უნდა მიხედოს, მერე – ღორებს, მერე – ქათმებს. შემდეგ კი მისი საყვარელი საქმიანობის, ფუტკრების მოვლის დროც დგება.

„სკებთან რომ მივდივარ, ყველაფერი მავიწყდება. იქ ყოფნა და მუშაობა ძალიან მიყვარს. ხანდახან მკბენენ კიდეც, მაგრამ მაინც. რა ვუყოთ, სხვადასხვა ხასიათი აქვთ: ზოგი ასეთი ცელქია, ზოგიც – ზარმაცი, ზოგიც – ბეჯითი. ნებისმიერ შემთხვევაში, მათთან ყოფნით ვისვენებ და დიდ სიამოვნებას ვიღებ. იცით, როგორი მოწესრიგებულები და საინტერესოები არიან? თითოეული საკუთარ მოვალეობასა და საქმეს ასრულებს“, – ამბობს ის.

ხათუნა 51 წლისაა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსაში ცხოვრობს და მეფუტკრეობას ეწევა. საექთნო საქმე კი შეისწავლა, მაგრამ ამ პროფესიით არასდროს უმუშავია. დაქორწინებიდან მალევე ორი შვილი ეყოლა და ძირითად დროს მათზე ზრუნვასა და ოჯახის მოვლას უთმობდა.

„ბავშვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როცა მომინდა რაღაც საკუთარი შემექმნა. თავიდან ღორები მოვაშენე, დაახლოებით 60 სული მყავდა. სამწუხაროდ, დაავადება შეხვდათ და უმეტესობა დამეხოცა. ფულადი დანაზოგი გვქონდა, ამიტომ ჩემს მეუღლეს ვუთხარი, მოდი, ერთი სკა შევიძინოთ და მეფუტკრეობა დავიწყოთ-მეთქი“, – იხსენებს ხათუნა 10 წლის წინანდელ ამბავს.

პირველი ნაბიჯების გადადგმა წიგნების კითხვითა და სწავლით დაიწყო, მერე ტრენინგებიც გაიარა, სხვადასხვა პროექტში ჩაერთო და ახალი საქმე კარგადაც აითვისა. არცერთ ტრენინგსა თუ საინფორმაციო შეხვედრას არ ტოვებდა. მართალია, პირველი სკის ორად გაყოფაში ნაცნობი მეფუტკრე დაეხმარა, თუმცა მესამე უკვე თავად, სრულიად დამოუკიდებლად გააკეთა და ასე, ნელ-ნელა, 50 სკამდე ავიდა. გასულ წელს ფუტკრის ნაწილი მავნებელმა დაუხოცა, თუმცა აპირებს, გაზაფხულზე მათი რიცხვი კვლავაც ძველ რაოდენობას დაუბრუნოს.

ხათუნა ტყის პირას ცხოვრობს. მისი ეზო მცენარეებსა და ყვავილებშია ჩაფლული, რაც მეფუტკრეობისთვის მისწრებაა: 30-მდე სკა აქვს და თაფლს წელიწადში 3-ჯერ იღებს, თანაც, თითო სეზონზე დაახლოებით 1 ტონას. თაფლისგან სანთელსაც ამზადებს და დინდგელსაც, რომელიც ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა. ხათუნას ექსპერიმენტები მოსწონს. სწორედ ამ ცნობისმოყვარეობის შედეგია კრემირებული თაფლი, რომლის რეცეპტიც ინტერნეტით ნახა და პირველივე ცდაზე ბევრი მომხმარებლებისთვის საყვარელი პროდუქტი შექმნა.

„სუროსგან დამზადებული თაფლი მალე შაქრდება, მაგრამ თუ მიქსერით ამოიყვან, კრემის სტრუქტურას იღებს, ფუმფულდება, გემოც შესანიშნავი აქვს, ამიტომ ბევრს თაფლზე მეტად მოსწონს“, – აღნიშნავს ხათუნა.

პროდუქციას ძირითადად სახლიდანვე ან სხვადასხვა ფესტივალზე ყიდის. მისი ნაწარმი ყველას ძალიან მოსწონს. „ნატურალური თაფლი მხოლოდ ფუტკრისგან დამზადებულს არ ნიშნავს. მნიშვნელოვანია, როგორ უვლი მწერს, როგორ ასუფთავებ სკას, ჰიგიენას რამდენად იცავ. ეს კი ძალიან დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს“, – ამბობს ის.

ხათუნა ახლაც ძველებურად აქტიურია: ყველა სასწავლო ღონისძიებას ესწრება, ფესტივალებში მონაწილეობს. ამბობს, რომ მეფუტკრეობა ამოუწურავია, ამიტომ თუ თავადაც არ განვითარდა, წარმატებას ვერ მიაღწევს. „თან რთული და საფრთხილო საქმეა, გიწევს დაავადებებსა და მავნებლებთან ბრძოლა, ჰიგიენისა და მოვლის წესების დაცვა, ამიტომ ავაშე-

ხათუნა ჩხაიძე ფუტკრის მოვლის დროს

ნე ფუტკრის ორსართულიანი სახლი, სადაც მალე ყველა პროდუქტზე ვიმუშავებ“, -აღნიშნავს ის.

ხათუნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ერთ-ერთი მონაწილეა. ინიციატივა, რომელიც ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერითა და ფონდ „ტასოსთან“ პარტნიორობით მიმდინარეობდა, ხათუნას დაეხმარა, ტრენინგები გაევლო, კომუნიკაციებისა და პრეზენტაციის უნარები დაეხვეწა, საკუთარი თავის წარდგენა ესწავლა, მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა. ამ პროექტში მონაწილეობის გამო, ციფრულმა უნივერსიტეტმა Skillwill-მა ის საკუთარი იდეის რეალიზებაშიც ჩართო.

საქართველოში ქალებისთვის, რომლებიც მიკრო, მცირე თუ საშუალო მეწარმეობას ეწევიან, პროდუქტებისა და მომსახურებების ინტერნეტსივრცეში წარმოჩენა, ონლაინ საკომუნიკაციო არხებით პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ბიზნესის განვითარებაში ტექნოლოგიურ პროდუქტებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ, მეწარმე ქალების უმეტესობას საქმიანობის გაციფრულებისთვის ხშირად არც საკმარისი დრო რჩება და არც – ფინანსები. Skillwill-ის ინიციატივა სწორედ ამ პრობლემას გამოეხმაურა.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა ორი თვის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მეწარმე ქალების ბიზნესსაჭიროებები შეისწავლეს, შემდეგ კი მათ შესაბამისი ციფრული პროდუქტებიც შეუქმნეს. ინიციატივაში სულ 10 მეწარმე მონაწილეობდა და ყველა მათგანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის მონაწილე იყო.

ხათუნას პროდუქციას სტუდენტებმა – ნუცა კანდელაკმა, ნატუკა წერეთელმა და მარიამ კერესელიძემ – ახალი სახელი – „თაფლოვანა“ მოუფიქრეს, მერე მისთვის ლოგოც შექმნეს და სოციალურ მედიაში გვერდები გახსნეს, სადაც ყველა საჭირო ინფორმაცია განათავსეს. გოგოებმა რეალურ პროდუქტებზე დაყრდნობით, ვიზუალური მასალებიც დაამზადეს, კონტენტის კალენდარი გაწერეს და ონლაინ სარეკლამო კამპანიაც ჩაატარეს. მათმა ასეთმა აქტიურობამ ხათუნას „თაფლოვანას“ ცნობადობა გაზარდა და ის სოციალურ მედიაარხებში პოზიტიურად წარმოაჩინა.

„პოპულარიზაცია აუცილებელი იყო. ხომ ვიცი, თაფლისთვის ეს რამდენს ნიშნავს. მე სწორედ ცნობადობითა და ნდობით ვყიდი პროდუქტს. თუმცა, ჩემთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ყურადღებასაც. იმ ამბავმა, რომ ახალგაზრდები სოფლად მცხოვრებ ქალებზე ზრუნავდნენ, ძალა და სტიმული მომცა. მივხვდი, რომ მეც რაღაცას წარმოვადგენ“, – აღნიშნავს ხათუნა და გეგმავს, ფუტკრის რაოდენობა გაზრდასთან ერთად, მისგან სხვა პროდუქტებიც დაამზადოს. ■

Skillwill საქართველოს დირექტორი
ლანა ჩხარტიშვილი:

Skillwill საქართველოში პირველი ნეო უნივერსიტეტია, რომელიც გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერი ორგანიზაციაა. მაქსიმალურად ვიაზრებთ როლს, რომლის შესრულებაც ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაში შეგვიძლია და ამ მიდგომების წახალისებას ვცდილობთ სტუდენტებს შორისაც. პარალელურად, ჩვენი პროექტებით ვეხმარებით გოგოებსა და ქალებს, მიიღონ განათლება და დასაქმდნენ ტექნოლოგიებში. ამგვარად გვსურს, საკუთარი წვლილი შევიტანოთ გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მიღწევაში როგორც საქართველოში, ისე ჩვენს საერთაშორისო ოფისებში.

➔ მეწარმე ქალებისა და მათი საქმიანობების გაციფრულების გარდა, Skillwill აქტიურად ზრუნავს ქალების ტექნოლოგიებში მონაწილეობასა და შესაბამისი უნარების გაუმჯობესებაზე. იგი ჩართულია ინიციატივაში „ქალები კიბერუსაფრთხოებაში“ (Women in Cyber Georgia), რომლის ფარგლებშიც, დიდი ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით, უნივერსიტეტის წარმომადგენლები საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდებს ხვდებიან, ესაუბრებიან ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე და ისეთ ახალ, მაღალი მოთხოვნის მქონე სფეროებზე, როგორებიც კიბერუსაფრთხოება, ვებდეველოპმენტი, IT პროექტების მართვა და მომავლის სხვა პროფესიებია.

გოგოების საფეხბურთო კლუბ „კვარტლის“ ფეხბურთელები. მარცხნიდან მარჯვნივ: მარიამ მამფორია, ლიზი გოგალაძე, ნინი ბერიძე და ლიზი კანკია

გოგოების გოლი

როცა ფეხბურთელი ლიზი კანკია სტადიონზე სავარჯიშოდ მოდის, მინდორზე 11 წლამდელების ფეხბურთის გუნდი ხვდება – პატარა გოგოები დიდი ენთუზიაზმით თამაშობენ და საყვარელ სპორტს ადრეული ასაკიდანვე მისდევენ. „ამ ბავშვებს რომ ვუყურებ და ვხედავ, როგორი ბედნიერები არიან, ვხვდები, რომ ჩემი და ჩემი თანაგუნდელების ასაკში ბევრად მაგრები იქნებიან. ეს განცდა მეც უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს, რომ სხვა გოგოებისთვის მაგალითის მიცემა გავაგრძელო“, – ამბობს ლიზი კანკია – საფეხბურთო კლუბ „კვარტლისა“ და საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების წევრი.

როცა თავად იყო 11 წლის, ფეხბურთს მხოლოდ ეზოში თამაშობდა: მეზობელი ბიჭები კარში აყენებდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა, სხვა პოზიციაზე ყოფნა ერჩია, მაგრამ ეუბნებოდნენ, გოგო ხარ და მეტი არ შეგიძლიაო. ამასობაში ლიზის ფეხბურთი სულ უფრო უყვარდებოდა, ვიდეოებს უყურებდა, ბრაზილიელი კუმირის, ნეიმარის ფინტების დამახსოვრებასა და მერე მოედანზე გამეორებას ცდილობდა. მალე მისი გატაცება და ნიჭი სპორტის მასწავლებელმაც შეამჩნია. თუ დარბაზში ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, ლიზის აუცილებლად ეძახდა, ერთ დღეს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროექტში ჩართვაც შესთავაზა. მშობლებმა მაშინ გაიგეს, რომ მათი შვილისთვის ფეხბურთი გართობაზე მეტი იყო. „მითხრეს, რა დროს ეგ არის, ხომ იცი, უნდა ისწავლოო, მაგრამ მერე ჩემმა სკოლის დირექტორმა დაურეკა და დაითანხმა. იმ ბანაკში გავიცანი ფეხბურთელი ნინო სუთიძე. „კვარტალშიც“ მან მომიყვანა. გუნდის შექმნის პირველი დღიდან აქ ვარ“, – ჰყვება ლიზი.

ახლა უკვე ხან ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს, ხან – თავდამსხმელის. პარალელურად, ილიას უნივერსიტეტში, სამართლის სკოლაში სწავლობს. ამბობს, რომ პროფესიის არჩევა უსამართლობასთან ბრძოლის სურვილმა უკარნახა: „ვფიქრობ, საქართველოში გოგოები ბევრ სტერეოტიპს აწყდებიან. მხოლოდ ფეხბურთზე არა, მაგალითად, მანქანის ტარებაზეც: ქალი თუ მართავს და შეცდომას უშვებს, აუცილებლად აღნიშნავენ, ქალია და არ იცისო. კაცს თუ შეეშალა, ამართლებენ, ხდება ხოლმეო. ფეხბურთზეც ასეა. რა თქმა უნდა, ჩვენი ორგანიზმი, ფიზიკური აგებულება განსხვავებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფეხბურთი კაცებზე ნაკლებად გამოგვდის, ან ჩვენთვის შეუფერებელია“, – ამბობს ის.

ლიზი პირველად 17 წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს, მერე – 19 წლამდელებში, წელს კი უკვე საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს. სადებიუტო თამაში არა მარტო მისთვის, ოჯახის წევრებისთვისაც დასამახსოვრებელი აღმოჩნდა: „მხარს სულ მიჭერდნენ ხოლმე, მაგრამ ნაკრებში რომ გამომიძახეს, მაისურზე რომ ჩემი გვარი დაინახეს, სულ სხვა ემოცია ჰქონდათ. სტადიონზე რომ შევდიოდი, მთელი ოჯახი ტიროდა. ეს მათთვის დიდი ბედნიერება იყო. განსაკუთრებით ბებიისთვის, რომელიც ჩემი მთავარი გულშემატკივარია და ყველა მატჩზე დადის“, – ჰყვება ლიზი.

კიდევ ერთი მხურვალე გულშემატკივარი, რომელიც „კვარტლის“ თამაშებს არ ტოვებს, ლიზის თანაგუნდელის, მარიამ მამფორიას ბებიაა. გოგოების ბებიებიც მეგობრები არიან, მატჩებს ერთად ესწრებიან და შვილიშვილებსაც ისე ხმაურიანად ქომაგობენ, რომ მთელ ტრიბუნას იყოლიებენ.

მარიამი 17 წლისაა. აბიტურიენტია და უნდა, სწავლა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძოს. მის ცხოვრებაში ფეხბურთი ძალიან ადრეული ასაკიდან შემოვიდა: ბაბუამ, რომელიც ყოფილი ფეხბურთელი და ახლა უკვე მწვრთნელია, მარიამს ბურთი პატარაობიდანვე შეაყვარა. „თან მატარებდა, მათამაშებდა, ბიჭებთან ერთად

საფეხბურთო კლუბ „კვარტლის“ ფეხბურთელები ვარჯიშის დროს

მავარჯიშებდა. თავადაც ძალიან მომწონდა და მინდოდა. მშობლები დიდად კმაყოფილები არ იყვნენ, მაგრამ მე და ბაბუ სულ ვიმარჯვებდით“, – ჰყვება ის.

როცა პირველად „კვარტალში“ მივიდა და დიდ მოედანზე ითამაშა, ძალიან ინერვიულა. თუმცა ნელ-ნელა დაძაბულობა გადალახა და საიმედო საყრდენ ნახევარმცველად ჩამოყალიბდა. ჯერ 17 წლამდელთა ნაკრებში ითამაშა, ახლა კი უკვე 19 წლამდელთა ნაკრების წევრია.

„ბებო და ბაბუ ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან. ბაბუ ძალიან ღელავს, ხანდახან უჭირს ყურება, ამიტომ ზოგ თამაშს ტოვებს, მაგრამ ბებო – არასდროს“, – ამბობს მარიამი.

სკოლაში, სპორტის გაკვეთილებზე დაიწყო ფეხბურთის თამაში ლიზი გოგალაძემაც. მაშინ მხოლოდ 8 წლის იყო, მაგრამ უკვე იცოდა, რომ ბურთი ყველაფერს ერჩია. მშობლები მის სურვილს ჯერ ეწინააღმდეგებოდნენ – ხან ქართულ ცეკვაზე შეიყვანეს, ხან – ცურვაზე, თუმცა ლიზისთვის ფეხბურთი ვერაფერმა ჩაანაცვლა. „მთელი ის წლები სკოლაში თამაშს მაინც ვაგრძელებდი. მერე გოგოებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროექტი We Play Strong იწყებოდა და მამას ვთხოვე, მონაწილეობას მივიღებ-მეთქი. მწვრთნელი სალომე ხუბულურიც დაელაპარაკა, ჩემთან ერთად იქნება, მივხედავო და უარი ვეღარ უთხრა. ასე წავედი გორში სათამაშოდ“, – იხსენებს ლიზი.

ახლა 18 წლისაა, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს და თან მეორე სეზონია, „კვარტლის“ მოთამაშეა. ლიზი 19 წლამდელთა ნაკრების წევრიცაა. „პირველად 17 წლამდელებში გამომიძახეს. ნაკრებში ყოფნა იცით რას ნიშნავს? ყველა სტერეოტიპს არღვევს. მახსოვს, მამაჩემი, რომელიც თავიდან წინააღმდეგი იყო, ამ დღის შემდეგ ყველას ეუბნებოდა, ჩემი გოგო ნაკრებში გამოიძახესო, გვერდით დამიდგნენ, მხარი დამიჭირეს. ახლა ყველა მგულშემატკივრობს და მაქებს: კარგია, რომ საკუთარ სურვილს გაჰყევიო“, – ამბობს ლიზი.

თავის გულის ხმას ბოლომდე მიჰყვა „კვარტლის“ კიდევ ერთი მოთამაშე, 17 წლის ნინი ბერიძეც. ფეხბურთს ჯერ ბიძაშვილებთან ერთად, მხოლოდ ტელევიზორში უყურებდა, მერე ეზოსა და სკოლის დარბაზში ბიჭებთან ერთად თამაში თავადაც დაიწყო. სპორტის მასწავლებელმა, რომელიც ბათუმის გოგოების საფეხბურთო გუნდის მწვრთნელიც იყო, სწორედ მაშინ შეამჩნია. „შემაქო და მითხრა, კარგი მონაცემები გაქვს, თუ გინდა, გავარჯიშებო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ასე დავიწყე სიარული, მაგრამ მშობლებს ვერ ვეუბნებოდი. ვიცოდი, წინააღმდეგები იქნებოდნენ“, – იხსენებს ნინი.

სიმართლე მაშინ გაირკვა, როცა დედასთან მასწავლებელმა დარეკა. მშობლებმა აღმოაჩინეს, რომ ინგლისურის ნაცვლად, ნინი ფეხბურთზე დადიოდა. წინააღმდეგობის მიუხედავად, ვარჯიში მაინც გააგრძელა, პირველ დიდ ტურნირზე გასვლის წინ კი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ უთხრა, რომ ფეხბურთის თამაში უნდოდა. მხარი ბებიამ დაუჭირა. „სცადოს ბავშვმა, მოსწყინდება და გამოვაო, უთხრა მამას და ასე დამთანხმდნენ. სტადიონზე გასვლის წამები, პირველი ნაბიჯები, მთლიანად ის მატჩი არასდროს დამავიწყდება. თან ჩემი ჩაწოდებით გავიტანეთ გოლი და თამაშიც მოვიგეთ, ამიტომ მაშინდელი ემოციები და მუხტი დღემდე მომყვება“, – იხსენებს ნინი.

პირველი ტურნირის შემდეგ მალევე 17 წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. იმ დღეს ოჯახის წევრებმა ნინის თვალებზე სიხარულის ცრემლი პირველად ნახეს. მშობლები მიხვდნენ, რომ მათი შვილისთვის ნამდვილი ბედნიერება ფეხბურთს მოჰქონდა. „ჩემთანაც ისე მოხდა, როგორც სხვებთან. ნაკრები აღმოჩნდა გარდამტეხი. იმ წამიდან გულშემატკივრებად იქცნენ და ახლაც სულ გვერდით მიდგანან“, – ამბობს ნინი, რომელიც უკვე 19 წლამდელთა ნაკრების წევრია და „კვარტალში“ თამაშთან ერთად, საქართველოს სპორტის უნივერსიტეტში, სპორტის მენეჯმენტზე სწავლობს.

საკუთარ ისტორიებს ახლა გოგოები უკვე მხიარულად იხსენებენ და ამბობენ, რომ სტერეოტიპებს საკუთარი ოცნებების ერთგულებით გაუმკლავდნენ. „ელემენტარულად ფეხბურთის თამაშის სურვილს რომ გამოთქვამ, იმ წამიდან

ფეხბურთელი გოგოები სტადიონზე ისვენებენ.

წინააღმდეგობებს აწყდები. ასე არ უნდა იყოს“, – აღნიშნავს ნინი.

გუნდი „კვარტალი“, სადაც ახლა ლიზი კანკია, მარიამ მამფორია, ლიზი გოგალაძე და ნინი ბერიძე თამაშობენ, 2016 წელს სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ ფეხბურთით რაც შეიძლება მეტი გოგო დააინტერესოს და მათთან ერთად დაამსხვრიოს სტერეოტიპები, რომლებსაც ბევრი მათგანი სპორტში აწყდება. ამავე მიზანს ისახავს „თეგეტა ჰოლდინგისა“ და მისი შვილობილის, „ტოიოტა ცენტრ თეგეტას“ მხარდაჭერაც, რომელიც „კვარტლის“ წევრი გოგოების ხელშეწყობას ემსახურება. ჰოლდინგის ზრუნვის პლატფორმა tegeta.care ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს, საკუთარი წვლილი შეიტანოს გუნდის მხარდაჭერაში და აღმოჩნდეს იმ ადამიანებსა თუ ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარება სურთ.

„თეგეტას“ „კვარტლის“ გოგოებისთვის სტიპენდიებიც აქვს დაწესებული. ორივე ლიზი, მარიამი და ნინი სწორედ მათ შორის არიან. ამბობენ, რომ ეს მხარდაჭერა დიდი მოტივაცია და სტიმულია, კიდევ უფრო მეტი გააკეთონ არა მარტო საკუთარი კარიერისთვის, არამედ იმ პატარა გოგოებისთვისაც, რომლებიც სტადიონზე ვარჯიშობენ და ნაკრებში გამოძახებაზე ოცნებობენ. ■

თეგეტა ჰოლდინგის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **თათია ხორბალაძე:**

„თეგეტაში“ გვჯერა, რომ ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მიღწევისა და სიღარიბის აღმოფხვრისთვის. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობასა თუ პროდუქტიულობას, ასევე, შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პროფესიებში არსებული გენდერული სტერეოტიპებისა და ბარიერების შემცირებაა, ამიტომ ვცდილობთ, ორგანიზაციის შიგნით თუ მის მიღმა, შესაბამისი პოლიტიკის შექმნით, სხვადასხვა პროექტითა და აქტივობით, საკუთარი წვლილი შევიტანოთ ამ გამოწვევის დაძლევასა და გენდერული თანასწორობის მიღწევაში.

➔ გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად, „თეგეტა ჰოლდინგი“ ცდილობს, ავტოინდუსტრიაში კიდევ უფრო მეტი ქალი ჩართოს. კომპანიაში მოქმედებს ქალი მექანიკოსების მომზადებისა და დასაქმების პროგრამა. განხორციელდა პროექტი Femmeავტოც, რომელიც ონლაინგამოცემა AT.ge-ისთან თანამშრომლობით, საზოგადოებას ავტოინდუსტრიაში ქალების მიღწევებისა და მნიშვნელობის შესახებ უამბობდა, წარმოაჩენდა კომპანიაში დასაქმებული ქალების როლს და კიდევ ერთხელ შეახსენებდა ყველას, რომ პროფესიას სქესი არ აქვს.

პარალელურად, „თეგეტა“ მხარს უჭერს ოფროუდით დაინტერესებული ქალების ასპარეზობას Rally Adventure Georgia-ზე და ქალთა ერთ-ერთი ეკიპაჟის, N52-ის სპონსორიცაა. Rally Adventure Georgia ყველაზე მასშტაბური საავტომობილო შეჯიბრებაა. მასში ქართველი და უცხოელი მრბოლელი ქალები მონაწილეობენ და ერთი კვირის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, 1500 კილომეტრს გადიან. სათავგადასავლო რალის მიზანია, საზოგადოებას აჩვენოს, რომ უგზოობის პირობებში ავტომობილის მართვა ქალებსაც იტაცებთ და ამ სირთულეს ისინი თავს საუკეთესოდ ართმევენ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტს „თეგეტა ჰოლდინგი“, ნეო უნივერსიტეტ „სქილვილსა“ და საქველმოქმედო ფონდ „ჩართესთან“ ერთად ახორციელებს. მისი მიზანი რეგიონებში მცხოვრები გოგოებისთვის ციფრულ პროფესიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ეკონომიკური გაძლიერებაა. „თეგეტა ჰოლდინგი“ 7-თვიან კურსებს უფინანსებს „ჩართეს“ ბენეფიციარ 10 გოგოს, რომლებსაც ციფრული პროფესიები აინტერესებთ. სწავლის დასრულების შემდეგ 3 წარჩინებულ მონაწილეს შესაძლებლობა აქვს, „თეგეტას“ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ციფრული მარკეტინგის დეპარტამენტებში დასაქმების პერსპექტივით 3-თვიანი სტაჟირება გაიაროს.

„თეგეტა“ პასუხისმგებლობიანი შესყიდვებითაც გამოირჩევა. 2024 წლის საახალწლო საჩუქრებზე ფიქრისას ქალების მხარდაჭერა აღმოჩნდა იდეა, რომელმაც ჰოლდინგი სოციალურ საწარმო Potteria-სთან დაამეგობრა. Potteria წლებია, ქართული ტრადიციული რეწვის განვითარებასთან ერთად, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ძალადობაგამოვლილი ქალების დასაქმებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. „თეგეტამ“ 2500 -ზე მეტი ადრესატისთვის საახალწლოდ საწარმოსაგან 70 000 ლარზე მეტის პროდუქცია შეიძინა, რითაც ქალთა გაძლიერებასაც შეუწყო ხელი.